ბიზნესის განწყობის ინდექსი

18.7
შემცირდა

ზაფხულის სევდა!

III კვ 2019

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
32	117

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2019 წლის მესამე კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) გაუარესდა და 8.3 პუნქტამდე შემცირდა, რაც 18.7 პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მაჩვენებელს. ბიზნესის განწყობის ინდექსის ყველაზე დიდი შემცირდება დაფიქსირდა საცალო ვაჭრობის, საფინანსო და მშენებლობის სექტორებში. აღნიშნულ სექტორებში ბიზნესის განწყობის ინდექსის შემცირება გამოწვეულია როგორც მიმდინარე საქმიანობის შეფასების შემცირებით, ისე მოლოდინების გაუარესებით. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა არის ერთადერთი სექტორი, სადაც ბიზნესის განწყობის ინდექსი გაზრდილია.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას ასახავს, 2019 წლის მესამე კვარტალში 23.5 პუნქტით არის შემცირებული.

- ბიზნესის ოპტიმიზმის ინდექსი მნიშვნელოვნად არის შემცირებული ბოლო კვარტლებში მოლოდინების გაუმჯობესების შემდეგ და 21.7 პუნქტს შეადგეს.

- საცალო ვაჭრობის სექტორთან ერთად, მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნეს სექტორის ოპტიმიზმის შემცირებაში. მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა მოლოდინების ზრდა.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ზომიერად შემცირებულია. მოსალოდნელი ფასები მომსახურების და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში წინა კვარტალთან შედარებით შემცირებულია, მაშინ როცა სხვა სექტორებში უფრო მაღალ ფასებს ელიან.

- მოლოდინები გაუარესებულია როგორც დიდი ზომის, ისე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. მაშინ, როცა მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი შემცირდა დიდი ზომის კომპანიებისთვის და ზომიერად გაიზარდა მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისათვის.

- საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად დიდი ბიზნესი მოთხოვნის სიმცირეს ასახელებს, მცირე და საშუალო ბიზნესი კი – ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.

- -

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA

ბიზნესის განწყობის ინდექსი

	კვ III/19	ცვლილება
მცირე და საშუალო	4.7	-1.9
დიდი	9.1	-20.2



ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

სექტორი	კვ III/19	ცვლილება
მრეწველობა	-3.8	-19.0
მშენებლობა	-24.7	-21.5
ვაჭრობა	-9.4	-45.4
მომსახურება	19.3	-16.6
სოფლის მეურნეობა	55.9	41.8
საფინანსო სექტორი	-7.0	-24.4
სხვა	0.0	-8.9

როგორც მცირე და საშუალო, ისე დიდი ბიზნესის საქმიანობის მთავარ შემზღუდველ ფაქტორებად კვლავ მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სახელდება.

ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები
III კვარტალი, 2019 წელი



ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA